

განმარტებითი ბარათი

„მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურის სრულყოფის აუცილებლობამ, მისი მიღების პირობების გამარტივებამ და სხვა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიზანია გამარტივდეს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა და საქართველოს მოქალაქეობის მსურველ პირთათვის შედარებით უფრო გამარტივებული პირობები დადგინდეს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები შედის ორგანული კანონის 26-ე მუხლში, რომლის მიხედვით 10-დან 5-მდე მცირდება საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ცხოვრების ცენზი. გარდა ამისა, ნაცვლად საქართველოს კანონმდებლობის ცოდნისა, რაც საკმაოდ ფართო და მრავლისმომცველი ტერმინია, პირს მოეთხოვება სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნა, ამასთან, საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის სავალდებულო განხორციელების ნორმის სრულყოფის მიზნით, ემატება, რომ მოქალაქეობის მსურველი პირი საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას ანდა საქართველოს საწარმოში ფლობდეს წილს ან აქციებს.

ახალი ნორმების შემოღებისა და მოქალაქედ მიღების პირობების გამარტივებას საფუძვლად დაედო ევროპის ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც უფრო მარტივ პირობებს ითვალისწინებენ, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობით არის დადგენილი. ასე ქვეყნებია, მაგალითად, ხორვატია, ბულგარეთი, ანალოგიური და გამარტივებული ნორმებია დადგენილი დსთ-ის ზოგიერთ ქვეყანაშიც, მაგალითად, სომხეთში, აზერბაიჯანში.

მარტივდება ასევე საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობებიც. 3-დან 2 წლამდე მცირდება საქართველოს მოქალაქესთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების ვადა. სხვა ქვეყნებში ამ მხრივ საინტერესოა აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნების გამოცდილება. ქვეყნის ტერიტორიაზე 2 წლიან სავალდებულო ცხოვრების ნორმას ითვალისწინებს უკრაინის კანონმდებლობა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბულგარეთში, სომხეთში მოქალაქეობის მისაღებად ეს პირობა უფრო გამარტივებულია და საკმარისია ამ ქვეყნის მოქალაქეზე დაქორწინება, სახელმწიფოს ტერიტორიაზე სავალდებულო ცხოვრების პირობის გარეშე.

პროექტი ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების (ორმაგი მოქალაქეობის) პროცედურის გამარტივებას ორგანული კანონის დღევანდელი რედაქციით მის ამოქმადებასთან დაკავშირებით. ამასთან, ითვალისწინება მოქალაქეობის მინიჭების აქტივ გადართვა

რამდენიმე სტადიას სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში და რამდენჯერმე ბრუნდებოდა ერთი და იგივე უწყებაში. პროექტი ითვალისწინებს საქმის მოძრაობის პროცესის გამარტივებას, რომლის შედეგად ამ მხრივ საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილება დაეკისრება იუსტიციის სამინისტროს.

პროექტი ითვალისწინებს ასევე მოქალაქეობის საკითხთა განხილვის ხაერთი ვადის 6-დან 3 თვემდე შემცირებას.

კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე პირს შეიძლება, სხვა საფუძვლებთან ერთად, უარი ეთქვას ასევე, თუ გააჩნია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან დაკავშირებული ქონებრივი ვალდებულებები. კანონპროექტის თანახმად, დასახელებული საფუძვლები აღარ იქნება მოქალაქეობიდან გასვლაზე უარის თქმის საფუძველი.

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის თანახმად მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დასკვნების მომზადებას განახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, პროექტის მიერ ტექსტში ტერმინი „იუსტიციის სამინისტრო“ იცვლება ტერმინით „სააგენტო“.

ამასთან, ორმაგი მოქალაქეობის მსურველ პირთა საქმეების განხილვის დასრულების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტრო ვალდებულია კანონის ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განსახილველი საქმეების სააგენტოსთვის გადაცემა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიზარს ეროვნულდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებისათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუძღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.